შპს „ელეკო„

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,018,364	1,003,902	1,282,302
სავაჭრო მოთხოვნები	787,937	757,320	732,426
გადახდილი ავანსები	415,489	155,560	328,280
მარაგები	5,344,716	4,841,722	3,738,475
- მზა პროდუქცია	5,344,716	4,841,722	3,738,475
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	1,435	1,435	1,435
ძირითადი საშუალებები	203,693	214,670	218,930
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	7,771,634	6,974,609	6,301,848

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	267,237	242,755	179,314
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	20,808	15,576	(59,172)
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	864,340	519,255	247,273
სულ ვალდებულებები	1,152,385	777,586	367,415
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000

საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	6,617,249	6,195,023	5,932,433
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	6,619,249	6,197,023	5,934,433
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,771,634	6,974,609	6,301,848

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	**8,180,937**	**6,361,778**
საქონლის გაყიდვიდან	8,178,705	6,323,091
მომსახურების გაწევიდან	483	28,856
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	1,749	9,831

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,349,961)	(3,940,139)
საწყისი მარაგები	(4,841,722)	(3,738,475)
მარაგების შესყიდვა	(5,852,955)	(5,043,386)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	5,344,716	4,841,722
საერთო მოგება	2,830,976	2,421,639

სხვა შემოსავალი	100,788	99,886
დასაქმებულთა ანაზღაურება	(343,868)	(336,917)
ცვეთა და ამორტიზაცია	(33,066)	(29,926)
საპროცენტო შემოსავალი:	9,739	19,353
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(36,823)	(37,129)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(227,177)	(323,243)
სულ საოპერაციო ხარჯები	(530,407)	(607,976)

საოპერაციო მოგება	2,300,569	1,813,663

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები		
მარაგები		(457)
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2,300,569	1,813,206
მოგების გადასახადი	(345,085)	(271,981)
მოგება/(ზარალი)	1,955,484	1,541,225

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,955,484	1,541,225

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	6,197,023	5,934,433
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1,526,316)	(1,263,158)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(6,942)	(15,477)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,619,249	6,197,023

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	**საანგარიშგებო პერიოდი**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,406	(287,512)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	8,406	(287,512)
სავალუტო კურსის ეფექტი	6,056	9,112
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,003,902	1,282,302
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,018,364	1,003,902

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ელეკო რეგისტრირებულია 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მინდელის ქ. #5 მისი ძირითადი საქმიანობაა ელექტრო საქონლის გაყიდვა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

ძირითადი საშუალებები

ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ოფისის აღჭურვილობა 20 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 20 პროცენტი
- ავეჯი და ინვენტარი 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები 20 პროცენტი
- ამორტიზებადი აქტივები,

  რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფებში 15 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ასახვა ხდება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით, ხოლო ამორტიზება - წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო

მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, მაშინ აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმოში წარმოებული პროდუქცია შემოსავალში ტარდება საწარმოს თვითღირებულებით.

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და

არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომაპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში არსებული უიმედო მოთხოვნები ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაცილ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

წმინდა მოგება გამოიყენება

დივიდენდების გასაცემად

სხვა მიზნით დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) XIII-ე თავის მოთხოვნების შესაბამისად, დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშზე და აისახება წლის მოგება ზარალის ანგარიშში.

შპს „ელეკო“-ს დირექტორი

სულიკო სიმაევი